საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი N99. ტელ: +(995 32) 274 96 49; ელ.ფოსტა: info@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

A18052672-031/001

10.12.2020

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ, აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ, რომლის შესაბამისად:

1. მოვალე შოთა მჭედლიშვილის (43001040569) თანასაკუთრებაში რიცხული 1/2 წილის უძრავი ქონებიდან, მდებარე მისამართზე: მუნიციპალიტეტი ქარელი, სოფელი ზემო ხვედურეთი, საკადასტრო კოდი: 68.17.41.373 - შემძენი 04/12/2020 წელს გამართულ იძულებით აუქციონზე გახდა ერმილე ობოლაძე (01013016775).

2. ერმილე ობოლაძემ (01013016775) უძრავი ქონება შეიძინა 875 (რვაას სამოცდათხუთმეტ) ლარად.

3. აღსრულება განხორციელდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების: ეკა ელბაქიძის (59001003859), შპს ,,სოდაკო ფინანსი"-ს (204569243) და "ნინო პაპოშვილი ჩიპ მანი"-ს (54001059006) სასარგებლოდ (სააღსრულებო წარმოება NA18052672, NA18099633, NA18073979).

4. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 75-ე მუხლის თანახმად: „თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ არის უზრუნველყოფილი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება. თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს იპოთეკარი /მოგირავნე, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა სანივთო უფლება (გარდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებისა), რომლებიც ქონებაზე რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. თუ იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი იპოთეკარები არიან საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სადაზღვევო ორგანიზაცია, საერთაშორისო ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ქონებაზე ასეთი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებაც. ქონებაზე ადრე რეგისტრირებული უფლებები (მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება) ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩება."

5. რეალიზებული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებული ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

6. უძრავი ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე.

7. განკარგულება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

აღმასრულებელი

ნათია ბერიკაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია ბერიკაშვილი